

ევროკავშირს საქართველომ ფაქტი აიძვა

დათო ბაჩიანი

ვილნიუსის სამიტის პირველი დღე საქართველოსთვის ისტორიულ მოვლენად შეფასდა - ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტროში შედგა საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების ტექნიკური პარაფირების პროცედურა. პარაფირების პროცესში მონაწილეობდნენ საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე მიხეილ ჯანელიძე;

გაზრდილია
მე-3 გვერდი



ნატო-ს მაღალი შეფასება

ვილნიუსში საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების პარაფირებამდე ერთი დღით ადრე, ბრიუსელში, ნატო-ს შტაბბინაში, ელჩების დონეზე, ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა გაიმართა. მხარეებმა შეხვედრაზე საქართველოს მიერ 2013 წლის ნლიური ეროვნული პროგრამის შესრულება და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები განიხილეს.

კომისიის სხდომაზე ქართულ მხარეს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი და საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი წარმოადგინდნენ.

სხდომაზე მოკავშირეებმა საქართველოს მიერ 2013 წელს ეროვნული პროგრამის მეხუთე ციკლის ფარგლებში გათვალისწინებული დემოკრატიული რეფორმების განხორციელებას მაღალი შეფასება მისცეს და აღნიშნეს, რომ საქართველომ ნლიური ეროვნული პროგრამის მიზნების განხორციელების თვალსაზრისით არსებით, ხარისხობრივ პროგრესს მიაღწია.

გაზრდილია
მე-2 გვერდი

ვილნიუსის სამიტი და გაჭიხტებული უკრაინა

ივა შილაკაძე

სუთშაბათს, 28 ნოემბერს, ვილნიუსში მუშაობა დაიწყო ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი, რომელშიც მონაწილეობენ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და იმ ექვსი პოსტსაბჭოთა ქვეყნის პირველი პირები, რომლებიც ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში არიან ჩართულები. ესენია აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდავეთი, საქართველო, სომხეთი და უკრაინა.

გაზრდილია
მე-4 გვერდი



„პროკურატურა ვერ შეძლებს დირექტორის მტკიცებულების წარმოდგენას“

ვანო მერაბიშვილის და ზურაბ ჭიაბერაშვილის სასამართლო პროცესი ბრალდების მხარის მონაწილის დაკითხვით გრძელდება.

დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურა ყოფილ პრემიერსა და ჯანდაცვის ყოფილ მინისტრს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში ე.წ. დასაქმების პროგრამის ფარგლებში ამომრჩევლის მოსყიდვას ედავება.

გუშინ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ბრალდების 19 მონაწილე დაკითხა.

გაზრდილია
მე-2 გვერდი



1 აშშ დოლარი	1.6643\$
1 ევრო	2.2110\$
1 ინგლისური გირვანკა	2.5933\$
1 თურქული ლირა	0.8622\$
100 რუსული რუბლი	5.0433\$

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

ელიტრანდში ქართველი 17 და 19-წლამდელთა მეთქეები გამოვლინდნენ

ნიონში, უეფას შტაბბინაში, დასრულდა 17 და 19-წლამდელთა ელიტრანდის ნილისყრა. ცნობილია ყველა ჯგუფი და მასპინძელი ქვეყნების ვინაობა. ნილისყრას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და გენერალური მდივანი ესწრებოდნენ და მომავალი წლის შემოდგომისთვის ორივე ასაკში საკვალიფიკაციო

ტურნირების თბილისში წამოღება მოახერხეს. ამაზე ოდნავ მოგვიანებით ვისაუბრებთ. ახლა ელიტრანდების ნილისყრას მივყავთ თანამიმდევრობით. პირველად 17-წლამდელთა მეთქეების ვინაობა გაირკვა.

გაზრდილია
მე-8 გვერდი

სამი დღე 2 დეკემბრამდე

თბილისის კინოფესტივალის კინოთეატრ „აპოლოს“ გადასარჩენად აქციას მართავენ



ადელის „ცხოვრება“

ია ვეკუა

მომდევნო ორშაბათს, ყველაზე მძიმე დღეს, კინომოყვარულებისთვის ყველაზე საყვარელი კვარა

ინცება - 2 დეკემბერს თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის გაიხსნება, 7 დეკემბერს გამარჯვებულებს დაასახელებენ, ხოლო 8-ში ფესტივალის ოფიციალურად დაიხურება.

გაზრდილია
მე-5 გვერდი

GROUP 1	GROUP 2	GROUP 3	GROUP 4
England	Czech Republic	Georgia	Serbia
Ukraine	Sweden	Israel	Rep. of Ireland
Montenegro	Italy	Switzerland	Turkey
Scotland	Bulgaria	Cyprus	Iceland
GROUP 5	GROUP 6	GROUP 7	
Spain	Russia	Portugal	
Germany	Austria	Belgium	
Denmark	Norway	Greece	
Lithuania	Romania	Wales	

"24 საათი" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე **www.24saati.ge**
ჩვენი პარტნიორები:

თბილისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლევთ ერთმანეთს

FM 102.4
საგარეო ურთიერთობების მინისტროს რადიო

ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

9|771987|912100|>

ყაზბეგი-ლარსის მონაკვეთზე, მლეთიდან კობამდე, შესაძლოა, გვირაბი გაკეთდეს

აბაშიძე-კარასინის შეხვედრა ახალ ეტაპზე გადადის და ამასთან დაკავშირებით მხარეებს გარკვეული იდეები გააჩნიათ.

„ერთ-ერთი იდეა ასეთია, რომ ხელი შევუწყოთ საინვესტიციო-კომერციული პროექტების განხორციელებას. ეს შეიძლება, იყოს ერთობლივი პროექტები, შეიძლება - საერთაშორისო პროექტები, მაგრამ დიდი, საინტერესო კომერციული პროექტები, რომელშიც რუსეთის მხარეც იქნება დაინტერესებული, ჩვენი მეზობლებიც. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი პროექტია ის, რომ რუსული კომპანიები დაინტერესებულნი არიან ჩვენი საპორტო ინფრასტრუქტურის გამოყენებით. უნდათ, რომ საქონელი უცხოეთში ფოთი-ბათუმის პორტებით გაიტანონ,“ - განაცხადა აბაშიძემ.

კიდევ ერთი იდეა, რაზეც აბაშიძემ და კარასინმა იმსჯელეს, ყაზბეგი-ლარსის გზის მონაკვეთზე, მლეთიდან კობამდე, გზის ზამთარში გამოყენების მიზნით გვირაბის გაკეთებას ითვალისწინებს.

„კიდევ ერთი პროექტია ყაზბეგი-ლარსის მიმართული გზა, რომელიც გადატვირთულია თურქული ტვირთებით, სომხეთი ამ გზით სარგებლობს, აზერბაიჯანულ მანქანებსაც ხშირად ნახავთ. ჩვენი საზღვარი, ყაზბეგი-ლარსის მარშრუტი, არა მარტო საქართველო-რუსეთის საზღვარია, არამედ თურქეთ-რუსეთის ეკონომიკური საზღვარაცაა, სომხეთ-რუსეთის ეკონომიკური საზღვარიც, ასე გამოდის. არის მოსაზრებები, რომ გაკეთდეს დიდი გვირაბი, მლეთიდან დაწყებული კობის ჩათვლით და მამის შეიძლება ამ გზამ ზამთარშიც იფუქციონროს,“ - აღნიშნა ზურაბ აბაშიძემ.

ქართული წარმოების ღვინო „სტალინი“

თბილისში სუპერ და ჰიპერმარკეტების ქსელში ქართული წარმოების ღვინო „სტალინი“ იყიდება.

News.ge-ს გადამღები ჯგუფი აღნიშნული დასახელების ღვინოს „კარფურის“ ქსელში, დადიანის ქუჩაზე გადაწყდა. ამავ დანახელების ღვინო იყიდება გორში, სტალინის სახლ-მუზეუმში. ღვინოს ეტიკეტს საბჭოთა კავშირის დროის ფორმა და ფერი აქვს, რომელზეც საბჭოთა სიმბოლიკა - ნამგალი და უროა გამოსახული. მშრალი წითელი ღვინის ფასი „კარფურის“ ქსელში 12.95 ლარია.

News.ge შეეცდებოდა, ღვინის ჩამოსხმის ისტორია და იდეის ავტორი მწარმოებელ კომპანიაში გაარკვიოს.

ნატო-ს მაღალი შეფასება

პირველი გვირაბი

წევრი სახელმწიფოების მუდმივმა წარმომადგენლებმა ნატო-ში ასევე ყურადღება გაამახვილეს იმ ფაქტზე, რომ საქართველოში 2013 წელს გამართულმა თავისუფალმა, სამართლიანმა და დემოკრატიულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა ქვეყნის დემოკრატიზაციის გზაზე მიღწეული პროგრესი და ქართული საზოგადოების პოლიტიკური სიმწიფე თვალნათლივ წარმოაჩინა.

ნატო-ს წევრი სახელმწიფოების მუდმივმა წარმომადგენლებმა და გენერალურმა მდივანმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ აღიარეს ურყევი მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დადასტურეს.

შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ ნატო ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების ერთგული რჩება და საქართველო გახდება ნატო-ს წევრი. ამასთან, მოკავშირეებმა საქართველოს მიერ ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში შეტანილი წვლილისთვის მადლიერება გამოხატეს.

გარდა ამისა, სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი და საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი ნატო-ს გენერალურ მდივან ანდერს ფოგ რასმუსენს

შეხვედრენ. მხარეებმა საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პროცესი, ამ მიმართულებით სამომავლო გეგმები, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები და საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმები განიხილეს.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურ მდივან ანდერს ფოგ რასმუსენთან შეხვედრაზე, ისევე როგორც ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში გამართულ სხდომაზე, ნატო-ს წარმომადგენლების მხრიდან ერთხმად აღინიშნა ის პროგრესი, რომელსაც საქართველომ მიმდინარე წლის განმავლობაში მიაღწია, პოზიტიურად შეფასდა ნლიური ეროვნული პროგრამის ფარგლებში განხორციელებული რეფორმების შესახებ ისაუბრა. სახელმწიფო მინისტრმა ნატო-ს წევრი ქვეყნების ელჩების წინაშე სიტყვით გამოსვლისას ყურადღება გაამახვილა რეგიონში განვითარებულ მოვლენებზე, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის მიერ საოკუპაციო ხაზების გაკლების ფაქტებზე.

„ერთსულოვნად აღინიშნა საქართველოს ტერიტორიაზე საოკუპაციო ხაზების გაკლების მიუღებლობა. როგორც ნატო-ს გენერალურმა მდივანმა, ისე ნატო-ში ცალკეული ქვეყნების ელჩებმა მკაფიოდ განაცხადეს, რომ

ისინი, როგორც ორმხრივად, ისე სხვა მრავალმხრივ ფორმატებში დააფიქსირებენ საოკუპაციო ხაზების გავლების შესახებ თავიანთ მკაცრ და მტკიცე პოზიციას,“ - განაცხადა ალექსი პეტრიაშვილმა.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურ მდივან ანდერს ფოგ რასმუსენთან შეხვედრაზე, ისევე როგორც ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში გამართულ სხდომაზე, ნატო-ს წარმომადგენლების მხრიდან ერთხმად აღინიშნა ის პროგრესი, რომელსაც საქართველომ მიმდინარე წლის განმავლობაში მიაღწია, პოზიტიურად შეფასდა ნლიური ეროვნული პროგრამა და საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმები. გამოითქვა იმედი, რომ საქართველოს მხრიდან დაფიქსირებული პროგრესი შესაბამისად აისახება 2014 წელს დაგეგმილ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამიტზე მიღებულ გადაწყვეტილებებში.

ნატო-ს გენერალურმა მდივანმა საერთაშორისო უსაფრთხოების ოპერაციებში საქართველოს მიერ შეტანილი წვლილისთვის მადლიერება გამოხატა.

შეხვედრებზე ასევე აქცენტი გაკეთდა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების პარაფირებისა და მომა-

ვალ წელს შეთანხმების ხელმოწერის მნიშვნელობაზე.

ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში ნატო-ს სპეციალური წარმომადგენელი ჯეიმს აპატურაი საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების პარაფირებას სოციალურ ქსელში გამოეხმაურა.

„გუშინ საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ზალკალიანმა ჩრდილოატლანტიკურ საბჭოსთან შეხვედრა გამართეს და მკაფიოდ განაცხადეს საქართველოს ცალსახა და ნათელი გზის შესახებ ნატო-სკენ. მათ შეხვედრის მონაწილეებისგან მოისმინეს უამრავი მილოცვა ყველა იმ პროგრესისთვის, რაც საქართველოს ამჟამად აქვს, ასევე მათ კიდევ ერთხელ დაუდასტურეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი მხარდაჭერა - მაშინ როდესაც რუსების მხრიდან ბორდერიზაცია მიმდინარეობს. ამ მხრივ ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რათა საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესი შეუქცევადი იყოს,“ - წერს აპატურაი «ფეისბუქის» საკუთარ გვერდზე.

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130025995

შემსყიდველი	ვაკის რაიონის გამგეობა
ტენდერის გამოცხადების თარიღი	28.11.2013 19:01
წინადადებების მიღება იწყება	03.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	05.12.2013 14:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	20000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	71200000-არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	71200000-არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	ვაკის რაიონის ტერიტორიაზე, ტოპოგრაფიული გადაღების ჩატარება და მიწისქვეშა კომუნიკაციების მოძიება
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	200 ლარი
გარანტიის ოდენობა	200 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130025862

შემსყიდველი	შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფი“
ტენდერის გამოცხადების თარიღი	27.11.2013 20:51
წინადადებების მიღება იწყება	02.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	04.12.2013 16:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	15000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გარეშე
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	14200000-ქვიშა და თიხა
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	14212310-ბალასტი
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	1500 კუბური მეტრი
მოწოდების ვადა	2014 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	150 ლარი
გარანტიის ოდენობა	150 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130025860

შემსყიდველი	იურიდიული დახმარების სამსახური
ტენდერის გამოცხადების თარიღი	27.11.2013 20:24
წინადადებების მიღება იწყება	02.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	04.12.2013 12:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	4500 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	48600000-მონაცემთა ბაზისა და ოპერაციული პროგრამული პაკეტები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	48624000-პერსონალური კომპიუტერის საოპერაციო სისტემის პროგრამული პაკეტები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	12 ცალი
მოწოდების ვადა	2013 წლის დეკემბერი
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	50 ლარი
გარანტიის ოდენობა	45 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130025859

შემსყიდველი	იურიდიული დახმარების სამსახური
ტენდერის გამოცხადების თარიღი	27.11.2013 20:09
წინადადებების მიღება იწყება	02.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	04.12.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	8100 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	31100000-ელექტრომრავლები, გენერატორები და ტრანსფორმატორები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	31154000-უწყვეტი ელექტრომრავლების წყაროები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	კვების წყარო სერვერისათვის
მოწოდების ვადა	2013 წლის 20 დეკემბერი
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	100 ლარი
გარანტიის ოდენობა	81 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

საქართველო რეიტინგში ასეულს ასცდა

ვიდრე იმას ვარკვევთ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ნაკრების მთავარ მწვრთნელს თემურ ქეცბაიას 2+2-წლიანი ხელშეკრულება აქვს თუ 4-წლიანი, საქართველოს ნაკრები ფიფა/კოკა-კოლას რეიტინგის ასეულს ასცდა. ქეცბაიას ჯვაროსნები (ამაყად კი ჟღერს!) 330 ქულით მსოფლიო კლასიფიკაციაში 101-ე ადგილზეა.

ეს ჩამოქვეითება იმან გამოიწვია, რომ, ბევრისგან განსხვავებით, ნოემბერში საქართველოს არ უთამაშია - ამხანაგური მატჩისთვის ამხანაგი არ გამოგვიჩნდა.

მონინავე ათეულს დაუბრუნდა მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ბრაზილია. ცხრასაფეხურიანი ნახტომი გამოუვიდათ პორტუგალიელებს. რაც მთავარია, ისინი მონინავე ათეულს დაუბრუნდნენ. ათეული დატოვეს ბელგიისა და ინგლისის ნაკრებებმა.

ჩვენი მეზობლებიდან 4 საფეხურით გაიუმჯობესა მდგომარეობა სომხეთის ნაკრებმა - 716 ქულით მისთვის და, საერთოდ, კავკასიის რეგიონისთვის საუკეთესო 34-ე ადგილი დაიკავა. 7 საფეხურით დაქვეითდა აზერბაიჯანი, რომელსაც 363 ქულით 95-ე ადგილი უკავია.

რეიტინგის პირველ სამეულში მდგომარეობა უცვლელია. ჩამონათვალს ესპანეთი უდგას სათავეში. მეორე ადგილზეა გერმანია, მესამეზე - არგენტინა.

ფიფა/კოკა-კოლას რეიტინგი

1 (1). ესპანეთი	1507
2 (2). გერმანია	1318
3 (3). არგენტინა	1251
4 (4). კოლუმბია	1200
5 (14). პორტუგალია	1172
6 (6). ურუგვაი	1132
7 (8). იტალია	1120
8 (7). შვეიცარია	1113
9 (8). ჰოლანდია	1106
10 (11). ბრაზილია	1102
11 (5). ბელგია	1098
12 (15). საბერძნეთი	1055
13 (10). ინგლისი	1041
14 (13). აშშ	1019
15 (12). ჩილე	1014
16 (18). ხორვატია	971
17 (17). კოტ დ'ივუარი	918
18 (20). უკრაინა	907
19 (21). საფრანგეთი	893
20 (24). მექსიკა	892
... 101 (100). საქართველო	330

ელიტრუნდში ქართული 17 და 19-წლამდელების მატჩები გამოვლინდნენ

პირველი გვირგვინი

ნოდარ აკოპიას გუნდი მე-5 ჯგუფში მოხვდა გერმანიის, სერბეთისა და ირლანდიის ნაკრებებთან ერთად. ელიტრუნდის მასპინძელი სერბეთი იქნება. ტურნირი 2014 წლის 26-31 მარტს გაიმართება.

ამის შემდეგ 19-წლამდელთა ჯგუფი დადგა. სფფ-ის ოფისში, ტრადიციულად, წილისყრას ერთად უყურეს ნაკრებების მწვრთნელებმა და ფეხბურთელებმა. მათთან ერთად იყო სფფ-ის სპორტული დირექტორი არჩილ არველაძეც.

ვასილ მაისურაძის გუნდი პირველ კალათაში იყო განთესილი. ჩვენი 19-წლამდელები მე-3 ჯგუფში მოხვდნენ ისრაელის, შვეიცარიისა და კვიპროსის გუნდებთან ერთად. ჯგუფის მასპინძელი შვეიცარია იქნება. ელიტრუნდი 25-30 მაისს გაიმართება.

როგორც სფფ-ის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ გვითხრა, ჩვენი ჯგუფის მონაწილე ყველა ქვეყანას ჰქონდა ჯგუფის მასპინძლობაზე პრეტენზია და რადგან ქვეყნებმა სამუშაო შეხვედრაზე შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, მასპინძლის ვინაობა ბრმა კენჭისყრით გადაწყდა.

წილისყრით კმაყოფილი დარჩნენ ნაკრების ფეხბურთელები.

ნიკა ჭანტურია (19-წლამდელთა ნაკრების კაპიტანი): «ჩე-

13th UEFA European Under-17 Championship 2013/14 Elite Round Draw

GROUP 1	GROUP 2	GROUP 3	GROUP 4
Spain, Switzerland, Russia, Wales	Poland, Turkey, Greece, Norway	Netherlands, France, Austria, Sweden	England, Italy, Czech Republic, Albania
GROUP 5	GROUP 6	GROUP 7	
Germany, Serbia, Georgia, Rep. of Ireland	Romania, Scotland, Belgium, Bosnia-Herz.	Portugal, Iceland, Latvia, Ukraine	

მი აზრით, წილისყრაში გაგვიმართლა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უნდა მოვდუნდეთ. პირიქით, ისეთი ჯგუფია, რომ საქართველოს ნაკრები ლიდერი უნდა იყოს და ჩვენ ამას დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდებით. მთავარია, კარგად მოვემზადოთ და მერე ჩვენებური შემართებითა და ბრძოლით შევძლოთ ევროპის ჩემპიონატზე გასვლა.“

საქართველოში არ იმყოფება 19-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვასილ მაისურაძე, რომელიც ჰოლანდიაშია მწვრთნელთა ლიცენზირების სემინარზე. პირველი შთაბეჭდილებები 19-წლამდელთა თავკაცმა სფფ-ის ოფიციალურ ვებგვერდს გაუზიარა.

ვასილ მაისურაძე: «არც მე და არც ბიჭებს ჯგუფში გერმანია არ გვინდოდა და ამის შანსი იყო, რადგან პირველ კალათაში ვიყავით. ისეთი ჯგუფია, რომელშიც გამოკვეთილი აუტსაიდერი არ არის. სწორედ ამიტომ საქართველო შვეიცარიაში ისე უნდა ჩავიდეს, როგორც ლიდერი. ისრაელის ნაკრებთან გვითამაშია და მეტ-ნაკლები წარმოდგენა გვაქვს ამ გუნდზე. კვიპროსზე ვერ იტყვი, რომ აუტსაიდერი იქნება. შვეიცარიას კი ყოველთვის კარგი ასაკობრივი ნაკრებები ჰყავს. ამიტომ მგონია, რომ ელიტრუნდზე ჩვენი მთავარი მეტოქე შვეიცარია იქნება. რა თქმა უნდა, იოლი თამაშები არ გვექნება. მაგრამ იმ შემართებით, რაც ჩვენს გუნდს აქვს, ყველა ბარიერის გადალახვა შეგვიძლია. ბიჭებს არც მონდომება აკლიათ, არც ბრძოლისა და შრომის უნარი. ასე რომ, ენახოთ... შვეიცარიაში ლიდერისთვის საჭირო შემართებით ჩავალთ და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ჯგუფიდან გავიდეთ.“

სფფ-ის პრესსამსახური

Fly.ge

WWW.FLY.GE
HELP@FLY.GE
2 49 00 49

ყველა ავიაბილეთი ერთ საიტზე მინიმალურ ფასად

Lufthansa Alitalia BELAVIA UIA TURKISH AIRLINES PEGASUS WIZZ AEROFLOT QATAR AIRWAYS Georgian Airways airBaltic flydubai